

# მარკეტინგი და საბიზლიოთეკო მომსახურეობა

თამარ სართანია

*სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის  
ხელოვნებისა და მეცნიერების ფაკულტეტზე კულტურის მენეჯმენტის მაგისტრის  
აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად*

სახელოვნებო თეორიისა და პრაქტიკის კვლევები და კულტურის მენეჯმენტი

სამეცნიერო ხელმძღვანელი: იური მღებრიშვილი ილიას სახელმწიფო  
უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი, ხელოვნების სამეცნიერო-კვლევითი  
ინსტიტუტი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი - 2015

## აბსტრაქტი

კულტურული მემკვიდრეობის გავრცელების, შენახვის და მოხმარების ერთიანი სისტემის ფარგლებში, დიდი მნიშვნელობა ენიჭება საინფორმაციო დაწესებულებების საქმიანობის მართვას და დაგეგმვას. ამ მიმართულებით ბიბლიოთეკის ძირითადი დანიშნულებაა დაიცვას და ხელმისაწვდომი გახადოს კულტურული მემკვიდრეობა ხალხის ფართო მასებისთვის. ბიბლიოთეკებს დიდი მნიშვნელობა ენიჭება არამართო კულტურის სფეროში, არამედ სამეცნიერო და საგანმანათლებლო ინფრასტრუქტურაში, რადგანაც მათი საშუალებით შესაძლებელია საინფორმაციო საშუალებებთან მკითხველთა თავისუფალი, შეუზღუდავი დაშვება.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში საინფორმაციო მომსახურეობის მიმართულებით განსაკუთრებული მნიშვნელობა საბიბლიოთეკო საქმიანობის მარკეტინგს ენიჭება. ბიბლიოთეკა ისეთი საჯარო სივრცეა, რომელსაც ლიტერატურის წაკითხვის გარდა, სხვა მრავალფეროვანი შეთავაზებაც უნდა გააჩნდეს. ბიბლიოთეკამ უნდა შესთავაზოს მკითხველს წიგნებთან ერთად მომსახურების სხვადასხვა ფორმები.

ამ ნაშრომში განხილულია საბიბლიოთეკო მომსახურების თავისებურება და სპეციფიკა, საბიბლიოთეკო მომსახურების ძირითადი და თანმდევი პროდუქტები, საბიბლიოთეკო მარკეტინგის საკითხები საინფორმაციო ტექნოლოგიების განვითარების ეტაპზე. დახასიათებულია საქართველოს ერთიანი საბიბლიოთეკო სისტემა და მისი დაფინანსების წყაროები, მასთან კავშირში განხილულია ფასიანი მომსახურების საჭიროება და მნიშვნელობა.

ჩატარებული კვლევის საფუძველზე გაკეთებულია საქართველოს პარლამენტის ილია ჭავჭავაძის სახელობის ეროვნული ბიბლიოთეკისა და თბილისის მედიათეკების გაერთიანების საქმიანობის ანალიზი და შეფასებები. ანალიზის საფუძველზე ნაშრომში მითითებულია მარკეტინგული საქმიანობის გაუმჯობესებისათვის საჭირო რეკომენდაციები, რომელიც ეხება საბიბლიოთეკო ქსელში მომსახურების ინოვაციური მეთოდების შემოტანას; ფასიანი საბიბლიოთეკო მომსახურების ფორმების შემოღებას, სარეკლამო საქმიანობის გაძლიერებას, ელექტრონული რესურსების და მონაცემთა ბაზების ფორმირებას და შევსებას, რაც

გაზრდის ბიბლიოთეკების რესურსებსა და შესაძლებლობებს, ხელს შეუწყობს მის წარმატებულ საქმიანობას და გამოიწვევს მიზნობრივი აუდიტორიის დაინტერესებასა და მიზიდვას.